# პოეზიის დღე

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო.

ტფილისი. 1922. მაისის 7.

## პოეზიის დღე

ჩვენ ვდღესასწაულობთ ეროვნული პოეზიის დღეს არა მარტო იმიტომ, რომ ქართველი პოეტი ძლიერია თავისი წარსულით და აწმყოთი; არა მარტო იმიტომ, რომ ქართველი პოეტი ქმნიდა შედევრებს, რომლის მსგავსით იამაყებდა ბევრი განათლებული ერი. პოეზიის დღე... რა დიდი სიტყვაა! რა უძლიერესი კიბე, რომლის ბურჯი დგას იმ სისხლის მორევში, რომელსაც თანამედროვეობა ეწოდება და რომელიც უძლიერესი მწვერვალით იკარგება იმ ლაჟვარდებში, სადაც ევლინება დანტეს—ბეატრიჩე, პეტრარკას—ლაურა, რუსთაველს—თამარი. ეს პოეზიაა—ყოვლისშემძლე—როგორც სიყვარული და სიკვდილი. ჩვენს პოეზიაში წარსულიდან ისმის ნამდვილი, განცდილი, სისხლით გაჟღენთილი წამება და ჯვარცმა. პოეზიის ქარიშხლიანი წარსული ეთანაბრება საქართველოს წარსულს. საქართველომ პოეტისაგან და პოეტმა საქართველოსაგან ისესხეს მანერა საუბრის, მანერა სულის ღაქნების, მანერა ბრძოლის. საქართველომ შეისისხლხორცა პოეტის გემოვნება, მისი ჩვეულებები, მისი ალერსი, მისი სასიყვარულო სიტყვები. საქართველო და მისი პოეზია თანაბრად არიან რთული, გაწრთვნილი და ამაღლებული მრავალფეროვანი და მდიდარი წარსულით. აქ შოთა რუსთაველი ლეგენდა კი არ არის, არამედ ისტორიაა. ბევრმა ცივილიზაციამ გაიარა და ყველამ დასტოვა წარუშლელი კვალი. მაგრამ საუკუნოების ცეცხლიანმა სრბოლამ ბევრი იმედები წართვა ერს და საქართველოც ნანგრევებში მოექცა. და ამ შემთხვევაშიაც კი ეს დანგრეული, გაღარიბებული, დაღლილი ქვეყანა—მაინც უმშვენიერესია, მით უფრო უმშვენიერესი, რომ ყოველთვის იზიდავს თავისი წარსულით პოეტის გულს. საქართველომ მიიძინა—როგორც მეფემ და გამოიღვიძა—როგორც გაძარცულმა. მაგრამ მის ძილო, თვით მასში, ყოველთვის იყო და არის პოეტი. პოეზია საქართველოში იყო ყველაფერი, რაც ცოცხლობდა, მოძრაობდა, ხმამაღლა გაიძახოდა. ამნაირი სახით მოვიდა იგი დღემდეც.

ბევრი რომ წარსულის პოეტისა არ შეესაბამება თანამედროვე პოეტის საქართველოს. ჩვენი სამშობლო—სამშობლოა ლეგენდების, პოემების, ტრაგედიების, მაგრამ პოეტი გრძნობს—არ შეიძლება ცხოვრება მხოლოდ წარსულით: ცხოვრება მიდის წინ და პოეტი გრძნობს რომ არ შეიძლება ჩამორჩეს მას. მას აქვს მეტი გამბედაობა, რომ წავიდეს წინ, შემდეგი ეტაპისაკენ. იგი ერთი წამითაც კი არ გაიფიქრებს, რომ მხოლოდ ჩვენს შორეულ წინაპრებს შეეძლოთ შექმნათ ახალი, მშვენიერი, დაუბრწნელი. დღევანდელი ქართველი პოეტი არ ჩამორჩება წინანდელ ქართველ პოეტს, არც თანამედროვე უცხოელ პოეტს. არავითარი უფლება თანამედროვე პოეტს არ აქვს—უარყოს თავისი ღირსება და ალიაროს მხოლოდ წარსული. ეხლა ყოველი მოწინავე ქვეყანა გრძნობს საჭიროებას გადავიდეს ახალ ფორმებზე და გამოიყენოს წარსულიც. მეხუთე საუკუნის სტილი შვენის თვით მეხუთე საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუკუნისთვის იგი მარტოოდენ ძონძებია. ჩვენი პოეტისთვის ძვირფასია ძველი ღმერთები, მაგრამ ჩვენ გვყავს ახლებიც, ისეთები, როგორიც შეეფერებიან ჩვენს დროს, ჩვენს ეპოქას, ჩვენს კულტურულ დონეს, ჩვენს ტექნიკურ საშუალებებს, ჩვენ განვიცადეთ საქართველო, მსოფლიო ომი, დიდი რევოლუცია. არავინ არ უარყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვები. ქართველმა პოეტმა იცის რა არის ზიზღი, მაგრამ იცის სიყვარულიც, იცის შურისძიება და იცის თავგანწირვაც. ნამდვილი ფაქტები ქართველი პოეტის ცხოვრებისა არის მშვენიერებისა და ძლიერების ისტორია. მისი ამაყი პროფილი განათებულია იმ განცდით, რომ მისი პოეზია არის სანწუთელი არა ათას ერთი ღამის, არამედ მისი მშობლიური სულის მწუხარების, ეს დიდი ღირსება მემკვიდრეობითი წესით გადმოვიდა მასზე წარსულისაგან. ამნაირად უყურებს ქართველი პოეტი მის გარშემო დატრიალებულ ქაოსებს. ეხლა მას სწყურია ახალი ცხოვრება, ახალი ბუნება, უნდა მოიცილოს შემბოჭველი სიცივე გარდამავალი ლანდების. იგი იხუთება და სურს ჰაერი. მას ენატრება ნათელი დღეები, ისეთი დღეები, როგორიცაა დღევანდელი დღე, მაისის 7—პოეზიის დღე.

სალამი ქართველ პოეტებს, ჩვენს სიამაყეს, ვაჟმარჯვს საქართველოს, ქვეყანის პოეტებისას. საქართველოსთვის უპირველეს ყოვლისა არსებობს პოეზია; და პოეტებისთვის, უპირველეს ყოვლისა, საქართველო.

**გალაკტიონ ტაბიძე.**

## Orbis literarum

**1921—1922. 7 მაისი**

ვიღრემდის ქართულ რასის მაჯებში სწვანე სისხლი სჩქეფს, ქართველობას ვერავინ წაართმევს საუკუნოების ბრძოლებში მოპოვებულ ეპითეტს: „ერი ღმერთებთან მებრძოლი“. ჩვენ სამშობლოს ვულკანიურ ბუნებასთან დაკავშირებული მითი ღმერთებთან მებრძოლი ზვიადის სულიერ მარტვილობაზე, მუდამჟამს ღრმა სიმბოლოდ დარჩება, რომლისაგანაც დაუშრეტელ ენთუზიაზმს მიიღებენ ჩვენი მწერლები და პოეტები.

დღესაც როგორც გუშინ, ათასი იარიდან ისისხლება ქართველი ერი, მაგრამ ტანჯვის ბარძიმში, ვარდი შხამისა, მუდამ მოიპოვება ენერგიისა და გამძლეობის მომგვრელი შარბათი, რომელიც მუდამ ახალი ბრძოლებისა და შემოქმედებისათვის აღავენთებს.

რაც არ უნდა სთქვან ყოველდღიურობის პოლიტიკოსებმა და პრაქტიკულად გაწყობილმა ადამიანებმა, ჩვენი რწმენა და იმედი ქართველი ერის ბრწყინვალე მომავლისადმი მუდამ უცვლელი და ურყევი რჩება.

სხვანაირად ვერც იგრძნობს ის, ვინც ქართულ ნიადაგზე ფეხმოკიდებული შემდგარა, იგი ჰერკულესთან მებრძოლ ანთეოზივით, ქართულ მიწაზე ფეხის დაკარებით მუდამ ახალ და ახალ ენერგიის მოზღვავებას იგრძნობს.

უბედობა ვერ ჩააქრობს ქართველობის ბედის ვარსკვლავს, დამარცხებაში უნდა იწვრთნებოდეს ერის ფოლადი ენერგია, დამარცხებიდან მუშაობაში გადასვლა და არა სასოწარკვეთაში. დამარცხებაში—ძალის მოკრეფა ახალი გამარჯვებისათვის. ნუმც გამარჯვება გვინდა მეტეორის ქვასავით ზეციდან ჩამოვარდნილი. საბოლოოდ ის გაიმარჯვებს, ვინც ბრძოლით და შემოქმედებით გაიმარჯვებს.

ჩვენი საუკუნის მაჯისცემა, ჩვენი მსოფლიო დინამიკა ისეთის მძაფრი რიტმით როკავს, რომ ის ერი, რომელიც ნერვებ დაჭიმული არ მოხვდება თავის ბედის ეტლის სადავეს, იგი ან უფსკრულში გადაიჩეხება, ან არა და სადმე მსოფლიოს ყრუ შუკაში გაიჩხირება და მას გზად გადაუვლიან, როგორც დაბალ ლობეს და უმნიშვნელო ეთნოგრაფიულ მასალას.

ყველაფერი რაც ერის ისტორიიდან გადარჩება ეს არის მისი ენთუზიაზმი.

ქართველი მწერალი მუდამ ერთგულად სდარაჯობდა ქართველობის კერას, რომ მასში ცეცხლი და ენთუზიაზმი არ გამქრალიყო.

ჰეგელი აბსოლუტური სულის მოციქულობას უწოდებდა პოეტებს.

არა, პოეტი ერის მარადიული სულის მოციქულია, მისი თარჯიმანი ღმერთებთან საუბარში და მისი უკვდავი ნების აღსრულებელი მიწაზე.

### II.

დიდ პოლიტიკურ კატასტროფებს, ხშირად დიად სულიერ გამოფხიზლებისაკენ მიჰყავს ერი. თებერვლის ამბების შემდეგ საქართველოში ბევრმა არც კი იცოდა რა გაეკეთებია, ქართველმა მწერლებმა გაორკეცებული ენერგიით იწყეს მუშაობა. მიუხედავათ მწერლობა მთლიან ოჯახში მომხდარ განხეთქილებისა, ორ ფლანგად მომუშავე მწერლები მაინც ერთ და იმავე დიდ საქმეს ემსახურებოდენ.

ხელოვნების სასახლე (ბოშტარიასეული სახლი) ხდება მწერლების მუშაობის ასპარეზი. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო 22 წლის იანვრიდან აქვეყნებს თავის ყოველკვირეულ ორგანოს ლომისს, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: არაგვისპირელი შ., აბაშიძე კ., გამსახურდია კ., გრიშაშვილი ი. მაჩაბელი კ., ვარდოშვილი ხ., ია ეკალაძე, რუხაძე ვ., რუხაძე ა. ობოლი მუშა, ლეო ქიაჩელი, ტაბიძე გალაკტიონ, წერეთელი ს., ტოფაძე ი., მოკრიევი ვ., შანშიაშვილი ს. მიუხედავათ შეუძლებელ სასტამბო პირობებისა, კავშირის საბჭო ახერხებს 7 საკვირაო ნომრის გამოქვეყნებას.

ცხადია ჟურნალში ვერ იყო კონსექვენტურად რჩეული მასალა გამოქვეყნებული, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საქართველოში ჯერჯერობით ვერც ერთი პერიოდული გამოცემა ვერ მოგვცემს თავანკარა რჩეულ მასალას, რადგანაც ამის მიზეზი თვით ქართველი მწერლის ბუნებაშია, ქართველ მწერლებს (მცირეოდენის გამონაკლისით) კონტინუირული წერისა და მჯდომარების უნარი არა აქვს, ამიტომაც რაც გინდ კეთილგონიერი და კეთილსინდისიერი რედაქტორებიც უძღოდენ პერიოდულ გამოცემას, ისინი იმედებს სავსებით ვერ გაამართლებენ.

ჟურნალის ერთი ნაკლთაგანი შეიძლება ისიც იყო, რომ მასში არ იყო ერთი განსაზღვრული სტილი დაცული, რადგანაც ჟურნალში თანამშრომლობდენ სხვა და სხვა ესთეტიური მანერისა და ნიუანსის მწერლები. რედაქტორებიც ვერ ახერხებდენ ჟურნალის განსაზღვრულ ლიტერატურულ პაროლს ქვეშ წარმართვას.

პირველი ნომერი გალაკტიონ ტაბიძის ზამთარმა გახსნა. ლურჯთვალებიანი რომანტიკა ალმაცერი ლამეების, იდუმალი ფიქრი ღამის ქაოსის მხატვარზე, სულეთისაკენ აფრაგაშლით მიმქროლავი ანგელოზის ფრთასავით თეთრი იალქნები. ჩუმი ცრემლი ამ ქვეყანაზე წაბილწულ კლდემამოსილებისა, ჩივილი ლაჟვარდზე უსჯეტაკეს სულისა და მისი მეორე წიგნიდან ოდნავ ნაცნობი „სამუდამოდ მშვიდობით.“

იქვე მისი „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, აქ კი მომავლის ფანტასტიურ კიბეებზე ამავალი პოეტი ერთბაშად „ხალხთან მისვლაზე“, და „ხალხში ტრიალზე“ გველაპარაკება, ამ ხალხოსნურ კოლექტივისტურ სულს უეჭველია ერთგვარი დისჰარმონია შეაქვს მის პოეტურ სოლიპსიზმით გამსჭვალულ წერილში.

ჩვენ კი არ უნდა მივიდეთ ხალხთან, არამედ ხალხი ჩვენთან მოვიდეს!

ესეც „ლომისის“ მეორე ნომერი. გრიშაშვილის თათრის ქალი სეფხარქისში. აქაც ენებით მთვრალი ეროსის ატეხა. როგორის ნაზი ალერსით შესცქერის პოეტი ქალს, რომელსაც უცხო რანგი ვერ შეუთვისებია. საკვირველია ქართულ პოეზიაში ი. გრიშაშვილმა იკისრა პირველად ლექსის ფორმის ნოვატორობა. ის კი დღესაც, როგორც ათი წლის წინად, კვკლულობს რომ „მან უცხო რანგი ვერ შეითვისა“. მისდევს ერთგულად თავის ფირუზა ბესიკის და ალექსანდრე ჭავჭავაძის გზას და მღერის ისე უდარდელად, როგორც ის ქართველი პოეტები, რომელნიც ირაკლის სასახლეში სასახლის დამებს ეარშიყებოდნენ და ყაბახზე ჯირითობდნენ. მღერის თავის ირაკლივით მუდამ მშვოთავ ტფილისზე და ყველაფერი ეს იმისთვის, რომ „საიქიოს საჲათნოვა არ წაეჩხუბოს“.

„და რაც მომივა დე მოვიდეს ჩემზე ახია“! კოტე მაყაშვილიც აქვეა, ეს მართლაც „დონკიხოტი“ ქართული პოეზიისა, თავისი ქედმაღალი რითმებით, ოდნავ მომღიმარე და ოდნავ ცრემლ დათრთვილული სატირით; მასაც ახალგაზრდებთან ერთად „სჯერა რომ შვებისა მძლეველს მზეს ეხილავს ხვალ“.

საქმე ის კი არ არის ჰაბუკი იყო და ჭაბუკური სული გედგას, საქმე ის არის თმაში ჭაღარა გერიოს და გულში მარად ჭაბუკურ სიმღერებს ატარებდე და მარად მშვენიერთან თამაშს ირჩევდე. „მწვერვალზე ავმართავთ მთაზედა მთას, ფოლადის ნებით შევანგრევთ ცას. ჩვენია წუთები დავსჭიმოთ კუთები ვერვინ გვძლევს. ტიტანოსთ გუნდები, მოდიან ხუნდებით, გვიფრთხილდი ზევს“.

აი ნამდვილი პოეტური ქედ-მაღლობა. აი ჭეშმარიტი ქართული ღმერთებთან ჭიდილი. ქართული შტურმი და დრანგი. „მე მიყვარს იგი, ვინც შეუძლებელის ტრფიალით სუნთქავს“... სწერდა მოხუცი გოეთეც. თამამი, ქედ-მაღალი, გაბედული, კუთებ-დაჭიმული მწვერვალზე მთათა ალმართველი თაობა გვჭირია ჩვენ: დიდის ენთუზიაზმით აღჭურვილი, დიდის სიყვარულით გულ-გამთბარი და დიდის იმედებით აღფრთოვანებული. ჭეშმარიტად ღმერთებთან მორკინე თაობის მონატრულია დღეს საქართველო!.

**1921** წლის დეკემბრიდან ცისარტყელას ჯგუფის მწერლები სცემენ ჟურნალ „ხომალდს“. მათ აერთებთ ერთნაირი ლიტერატურული ტრადიციები და პიროვნულ-მეგობრული სიმპატიები. პროლეტარული პოეზია უნდა ყოფილიყო მათი საერთო პაროლი, თუმცა პროლეტ. პოეზიის იდეოლოგიას ჟურნალში ვერა ვხედავთ.

პროლეტარულ პოეზიას როგორც ევროპაში, ისე რუსეთში, ისეთივე სკანდალი მოუვიდა, როგორც ნაპოლეონ ბონაპარტეს მეუღლეს—ჟოზეფინას, რომლის გათხოვებისა და დედოფლად კურთხევაზე, იმდენი მითქმა-მოთქმა იყო, იმდენი ამბიციები დაიხარჯა, მაგრამ მიუხედავად ამისა მან „ტახტის მემკვიდრე“ ვერ შობა. ჯგუფში ერთგულად შერჩნენ ამ გზას ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, იასამანი და ტუქსიშვილი. ხოლო აბაშელი, ვარდოშვილი, ობოლი მუშა, კიაჩელი, დემნა შენგელაია, სრულიად მოწინააღმდეგე „მოძრავ ნაპირისკენ“ მიდიან. ეს ხშირად ემართება მწერალს. მისი შემოქმედების თეორია და პრაქტიკა ხანდახან მისდა უნებურად გზა-ჯვარედინზე იყრებიან. ნაცრის ფერია ყველა თეორიები! ეს ყველაზე უწინ პოეტს ახსოვდეს.

„ლომისში“, და „ხომალდში“ ერთგულად თანამშრომლობდენ ძველი მწერლები: შიო არაგვისპირელი, ვასილ ბარნოვი, ი. ეკალაძე, ვარლამ რუხაძე. ს. აბაშელმა საუკეთესო პაროლი მისცა ახალ მწერლობას: „ახალი ძველთან გადახიდული“. ძველ მწერლებს თავისი ადგილი და თავისი გავლენა აქვთ დღესაც ქართულს ლიტერატურაში. ყოველი მწერალი უკვდავია თავის ადგილზე. განვითარების რკალში, ყოველ მარჯვალს თავისი მნიშვნელობა და წონა აქვს, დროულ სუბიექტიურ-ესთეტიურ მიდგომის დამოუკიდებლად.

ხომალდში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დემნა შენგელაიას პატარა მოთხრობები და რამოდენიმე ლექსები ხარიტონ ვარდოშვილისა, მაგრამ მეტის თქმას ვერა ვბედავ, ვიცი ქართველი მწერლის აქილევსისებური ქუსლი. ქება მასზე ხშირად ცუდად მოქმედობს. ჩვენს მწერლებში იშვიათია დაუსრულებელი ლტოლვა ჰარმონიულ სრულყოფისაკენ. ნეტავ ზერელობა ხომ არ არის ჩვენი ეროვნული ხასიათის ერთი ზადთაგანი, რომ ოდნავ სახელმოხვეჭილი მწერალი საქართველოში, პროგრესიულად წინსვლის ნაცვლად პროგრესიულად უკან მიდის!

ლომისში და ხომალდში გამოქვეყნებული ზოგიერთი მასალა დიდ იმედებს გვიღვიძებს. ჩვენს ახალ მწერლობაში განსაკუთრებული მიდრეკილებაა ლირიკისადმი.

არსებობს ერთნაირი თეორია ლიტერატურის ისტორიაში, (ა. ბარტელსისა) რომლის მიხედვითაც ზოგიერთ ერებს განსაკუთრებული ნიჭი უნდა ჰქონდეს ლირიკისადმი, ზოგსაც ეპიკის ბრინჯაოს ჩარჩოში ემარჯვება თავის ნაგრძნობის გადაშლა. თუ ეს თეორია მართალია, არა მგონია ლირიკული ფენომენი უფრო ძლიერი იყოს ჩვენში. მაშინ რას იტყოდით შოთაზე, ვაჟაზე, ყაზბეგზე—და სხვა ქართულ ეპიკის უკვდავ ნიმუშებზე, რომლითაც ამაყობს ქართული ლიტერატურა. ვერც ერთი დიდი პოეტი და მწერალი ლექსით, ნოველით, ესკიზით ვერ გაიმართავს წელს. ჩვენს უახლოეს ლიტერატურაში სრულიად უნუგეშო მდგომარეობაშია დრამა და რომანი. ამაზე ბევრი დაიწერა. მიზეზებიც ვერ იყო მიგნებული. ჩემის აზრით მიზეზი უმთავრესი ის გახლავთ, რომ როცა მწერალი ეტაპების მიხედვით ადის თავის შემოქმედების განვითარების საფეხურებზე იგი ლირიკულ ლექსიდან ეპიკურში, ან დრამაში გადადის უცილოდ, ხოლო ნოველიდან დრამაში ან რომანში. რადგან დრამაა პოეზიის უმაღლესი რანგის გამოთქმის ორგანო. ქართველი მწერალი გაუვითარებლად იღუპება და სჭკნება, ან აუტანელი პირობების ან არა და უიდეობის გამო.

ფრიად თავისებური რთული იდეების საგანძური თუ არა აქვს მწერალს, იგი ვერც დრამას და ვერც რომანს თავს ვერ გაართმევს. ამ მხრით თვალსაჩინო იმედს გვაძლევს საშა აბაშელი თავის შორეული ნაპირით. ეს მართლაც ახალი ეპოქის „ბრინჯაოს ჩარჩოა“. ლეო ქიაჩელი—„სამკაულებით“ და ბოლოს სანდრო შანშიაშვილი... ჩვენ ძმურად მივესალმებით მის მობრუნებას ქართულ ლიტერატურის ოჯახში. მხოლოდ ვურჩევთ მას მიუბრუნდეს შექსპირს უფრო დააკვირდეს და ცალი თვალიც თანამედროვე დრამის (სტრინდბერგ, იბსენ, შოუს) გაცნობაზე ეჭიროს. ჩვენის აზრით ლეო ქიაჩელსაც ერთი ნახტომი უნდა კიდევ ეპიკისაკენ და Aut Caesar!..

ცისფერი ყანწელები, რომელნიც გამოეყვენ სრ. ს. მწერალთა კავშირს აქვეყნებენ გაზ. „ბარიკადის“ რამოდენიმე ნომერს.

ამავე ჯგუფმა გამოსცა „მეოცნებე ნიამორების“ ნომერი, მათვე გამოსცეს ორიოდე ნომერი რუსული გაზეთის „ფიგარისა“. გაზეთის მიზანი იყო ვითომდა კულტურული ხიდის გდება ჩვენსა და საქართველოში შემოხიზნულ რუსულად მოლაპარაკე ელემენტებს შორის.

ცხადია, ეს ტენდენცია მუდამ უპრიანი იქნება ჩვენი კულტურ-პოლიტიკის თვალსაზრისით. ისინი ვინც ათეულ წლებს ატარებენ ჩვენი ეროვნების წრეში და ქართულად ლაპარაკი და წერის არ კადრულობენ, ღირსნი არ არიან ჩვენ მათ გასაგებ ენაზე ველაპარაკოთ. ვისაც საქართველო და ქართული კულტურა ქართველებზედაც უყვარს (და არა უქართველობით) მათ კეთილ ინებონ და ჩვენი ენაც ისწავლონ. ამავე წლის განმავლობაში გამოიცა ახალგაზრდა მწერლების: მ. ბოჭორიშვილის, რ. გვეტაძის, შ. კარმელის და ტ. გრანელის ახალი წიგნები.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო ერთი თვეა რაც დამსხურებული ქართველი მწიგნობრის ზაქარია ჭიჭინაძის იუბილეისთვის ემზადება. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ქართული საზოგადოება გულხმიერად შეხვდება ქართველობის მუდამ დაუღალავ მოამაგის ზაქარია ჭიჭინაძის 50 წლის დაუღალავ მუშაობის იუბილეის.

მთელი წლიწადი მუშაობდნენ ქართველი მწერლები ხელოვანთა სასახლეში. საქართველოს მწერალთა კავშირმა ამ ხნის განმავლობაში გამართა 20 ლიტერატურული ხუთშაბათი. მეორე მწერალთა საბჭოც მართავდა ესთეტიურ საღამოებს -კვირაობით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ წელს ქართული საზოგადოება სრულიად ინდიფერენტულად ეპყრობოდა ყოველივე საზოგადო საქმეს და განსაკუთრებით ქართულ მწერლობას, სასახლეში გულმოდგინედ დადიოდა ახალგაზრდობა. აღსანიშნავია რომ თითქმის მუდამ ერთი და იგივე შემადგენლობის აუდიტორიის წინაშე იმართებოდა მოხსენებები. დიდი პროგრესის მომასწავებელია განსაკუთრებული ლიტერატურული მრევლის ჩასახვა. ამ საღამოებზე პირველად მიექცა სერიოზული ყურადღება იმ გარემოებას, რომ ჩვენი საზოგადოება სრულიად მოწყვეტილია ევროპას და მის ლიტერატურულ ცხოვრებას.

ხელოვანთა სასახლეში ქართველმა პოეტებმა და მწერლებმა ამ წლის განმავლობაში წარმოსთქვეს სიტყვები: სტეფან გეორგეზე, რომენ როლანზე, გოეთეზე, ნიცშეზე, ოსვალდ შპენგლერზე, თომას მანზე, პლატონზე, ალიგიერი დანტეზე-უკანასკნელის 600 წლის იუბილეისთვის გაიმართა საზეიმო სხდომა.

აქვე წაკითხულ იქნა მთელი სერია მოხსენებისა ესთეტიკისა და პოეტიკის დარგებიდან და ქართველ მწერლებზე: ნ. ბარათაშვილზე, გ. ტაბიძეზე, ი. გრიშაშვილზე, სახალხო მგოსან ბაზირაზე, ს. შანშიაშვილზე.

მეორე საბჭოს სალიტ. საღამოებზედაც წარმოითქვა სიტყვები: უიტმანზე, დოსტოევსკიზე, ბლოკზე, მალარმეზე, რემბოზე, დიონისის კულტზე და ქართულ მწერლებზე: მელანია ბადრიძეზე, ვაჟრინდაშვილზე, ცირეკიძეზე და სხვ.

ამ დიდ მუშაობას ჩვენი მწერლების მიერ გაწეულს უცილოდ დიდი გავლენაც ექნება ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესში. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ ქართული ლიტერატურის კრიზისის ერთი მთავარი მიზეზთაგანია ახალი იდეებით სიღარიბე, თუ მწერალი თვალს ვერ გაუსწორებს საუკუნის ეტლის რაშების ჩქარ სრბოლას, იგი თანამედროვეობის მომღერლად და მაღალ მაჯისცემად ვერ გამოდგება. ყოველი დროის მწერალს მომავალზე მიპყრობილი უნდა ჰქონდეს ერთგვარი არტილერიის სათვალყურო პუნქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უბრალო მოშაირე ფილისტერი დარჩება:

საშუალებათა გამონახვისა კიდევ უფრო გვიმტკიცებს რწმენას, რომ ქართველი ერის სულიერი ენერგია შესძლებს პოეზიის უფრო მტკიცე ნიადაგზე დამყარებას, მის განვითარებას, ალორძინებას, განმტკიცებას.
პოეზიის მაისისავე! პოეზიის გაზაფხულისავე! არის ერთად-ერთი გზა ჭეშმარიტი პოეზიისა!..

ქ. აბაშიძე.

## ახალი რომანიდან

**„თეთრი გვირგვინი.“**

.....მიდიოდა მდორის ღელეთი ქამი უაოვნი; თვე თვეს უცვლიდა, ძველი წელი მოუთხრობდა წელსა ახალსა. ქალის კოშკში ცვლილება რამ როდი ხდებოდა. იგი ჰამეკი, რომლისათვის გული უთქმოდა, ოცნებამ რომ სასურველად მას დახატა, შემოჭრილი მგზავრი იყო ცხოვრების გზაზე: თავის კვალს აჩვევა, სიცოცხლისავან მისთვის სურილს მჭყვრიალა სავალს. ალარ თუ ახსოვს მას საშინელი, მისთვის მხოლოდ მთლად უცნობი ნაცნობთაგანი. ამათ იყო ქალისათვის ყოველივე ცდა, რომ გაება თავის ბადეში იგი კანკარი, მარყუშად სვენილი საგდებელი გადაევდო ქედმაღლისათვის უდრეკ კისერზედ. ამ დამარცხებამ, ამგვარმა ჯავრმა დააზიანა მის მშვენიერება: ასერა კვალი უგულისყურობის მის წარბთა საშუალ: არა ნათქი, სიმკაცრის ხაზი თვალთაუწინარი, სწრაფად საგრძნობი.
საგანი თუ მოძრაობა, რომ ქმედობა თავის კვალს აჩნევს არსებობის დენის საყალზედ კეთილი ნათელს, ბოროტი ბნელსა. ვისც მანძილი ყველა დიდი ცხოვრების ზღვაზედ, ბევრი მისთანა ხაზ-ნაკვალი ამოლევია, კვალი უწინი, მგრძნობიარე თვალისათვის ფრიად საჩენი და...
ეფინება კოშკის დაისში კაცის ხატებას, თუნდაც ეშხიანს, უარსაყოფელ კვალთა ნაჭარვი, ბნელი სარკების ჩაბეჭდილი იგი ქსოვილი. სახე ბოროტი, ანარეკლი ბნელთა მეუფის.
მცხოვრობა უსახური. დაღდასმული უკუნისაგან.
ეფინება კოშკის დაისში კაცის ხატებას, თუნდაც უეშხოს, კვალთა ნაჭარვი მიზიდველი, ნათელ სრვების ჩაბეჭდილი იგი ქსოვილი. სახე კეთილი, ანარეკლი ნათელთ მეუფის.
მცხოვანება სახიერი, ალბეჭდილი ნათელისგან უზინდოისა.
გულხმიერად! ფრთხილად იყავი!
გულხმიერად როდი იყო ქალი ლამაზი: ცხოვრების სვლაში დაჭკრავდა ხშირად მის სახეს ბნელის აჩრდილი და დასტოვებდა კვალს ამოუშლელს, თუმცა კი კრთალისა, ცალკე უჩინარს. არც შემფეროდა მის აწინდელი ქცევა უმეხი იმ ნაზ მის გრძნობას, რომლის წყა.....

ვასილ ბარნოვი.

## პოეზია

**(ნაწყვეტი რომანიდან „მწუხრი“)**

...ჰო! მინახავს ჯადოსნური მონახაზები. მითქვამს: ათას ასეთ სახეს შევქმნი ოცნებაში. სულში ახეტიალებულ ფიქრების ტილოზე აქარდა ვარგია, მაგრამ უაზრო ხელოსნოება.
მომისმენია მისტიური სიმფონიები. მითქვამს: ეს მხიბლავი ჰანგი ბუნების იდუმალ აზარიშურების ანარეკლია. კარგია მისი დამუშავება ცივ სიმების ასაჩუტყველებლად, მაგრამ განა ესეც წარმოების ერთი დარგთაგანი არ არის?
პოეზია? ფიზიკაში არსებობს წერტი დუღილის, პოეზიამ უნდა გამალოს გაახლოს იგი.
მკვეთრი ალმასი, ნაზი ლოტოსი—ასეთია სიტყვა პოეზიაში.
ის, ვინც მღერის რომ მშვენილი მხიბლავ ჰანგით დაათროს, მეძავეთით ეპყრობა საღუთ გრძნობებს. ვინც წამებას განიცდის მხოლოდ იმიტომ, რომ პოეტის გვირგვინით დაიდაფნოს—ჯალათია პოეზიის.
პოეზიის ყვავილები მხოლოდ პოეტის სულისა უწონო დუღილში ეშლებიან. სტრიქონები მხოლოდ ფერულია შინაგანი წვის, სულის გიზგიზის, კალმის წვერიდან გადმონაწვეთი ასოები ანათრთქლი წვეთებია ამ წვის, ამ დუღილის.
იყავი ძუნწი სიტყვის ხმარებაში, სტრიქონებისა და ასოების ასახვაში, რომ არ დაეშოს წერტი დუღილის.

მიხ. ბოჭორიშვილი.

* * *

ადამიანის კეთილშობილობა და სულიერი რაინდობა არწყვება და განიზომება იმ ზნიდის მიზიდვებით, რომელსაც განიცდის კაცი ყოველივე ძალმომრეობისადმი, ძალდატანება ადამიანის პიროვნებაზე, მის ნებასა და უფლებაზე ყოვლად შეუწყნარებელია ცოტათი მაინც კულტურული კაცისათვის.
ყველა დროთა და ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა გამსჭვალული იყო ერთის აზრით, ერთის დევიზით:
რაც შეიძლება მეტი შეზღუდვა ძალმომრეობის ფარგლებისა ადამიანურ ურთიერთობაში.
საკაცობრიო პროგრესის ისტორიაში მძლავრად არის აღბეჭდილი ის მთავარი დებულება, რომელიც იხსოვლიბს, რაც შეიძლება ნაკლები ძალმომრეობა და მეტი თავისუფლება პიროვნებას.
კულტურის გამარჯვება სწორედ ამ თავისუფლების დამყარებაში და ძალმომრეობის მოსპობაშია.
საკაცობრიო კულტურა ვითარდება და ძლიერდება მხოლოდ თავისუფლების დროშის ქვეშ.
შეუძლებელია თავისუფლების სახელით ძალმომრეობა სცოდვებს, შეუწყნარებელია ქრისტეს სახელით ხოცვა და ჟლეტა, შეუთვისებელია ბედნიერების მიწოდებით ცრემლისა და ვაების უკუმეთი წყვიადობდეს.
ამიტომ ყოველი ჩვენთაგანი მოვალეა მარად ფხიზლად იყოს და არა ფრონტზე ეჭიროს თვალი, ესეიგი, რეაქციაზე და თვითმპყრობელ თავისუფლებაზე.

ვალერიან გუნია.

## ...ისევ ის განმეორდება

**(სავაზაფხულო განცდა)**

...საკვირველია საიდუმლოება ქვეყნის ყოფნისა! ათასი წლობით მიდიან და მოვლიან ტალღების ცხოვრების ზღვისა და ჯერაც გადაჭრით ვერავის უთქვამს: მიიღწევენ, თუ არა ეს ტალღანი უკანასკნელ ნავთ-სადგურს, რომ ამ ზღვის ხომალდმა,—კაცის რაობამ,—ჩააგდოს ღუზა, დაუშვას იალქნები, ჩააქროს ცეცხლი ალმაფრენისა და დაისვენოს, დამშვიდდეს ღელვისა და ბობოქრობისაგან!..
ან კი რა ხელსაყრელია ამისი ცოდნა?
ბუნებას სწორედ ჩინებულად დაუწესებია, რომ არავინ იცის: როდის რა მოუვა, რას უქადის ხვალინდელი დღე?
მხოლოდ იმედი და სასოება აქეზებს კაცს, მხოლოდ განთიადი ასულდგმულებს ადამიანს! უამისოდ, ერთ წამს მოიშხამებოდა სიცოცხლე დაღამბლავდებოდა ალმაფრენა, გაძარცვარდებოდა მოლოდინი! უამისოდ, გაქრებოდა რწმენა და იდეალი, დაიშრიტებოდა მეცნიერება და ხელოვნება, მოიწამლებოდა პოეზია და სიყვარული! უამისოდ, ტკბილი ზმანება—ილუზია—კბილთა-ღრჭენად გადიქცეოდა და ოცნება—ჯოჯოხეთის ცეცხლად!
მადლი უფალს, რომ თითოეულ ადამიანს თავის თავი ქმნილებათა გვირგვინი-ჰგონია!
მადლი შემოქმედს, რომ კაცი მერმისის საძიებლად გაუჩენია!
მადლი ბუნებას, რომ ხორციელი შრომისა და ვარჯიშისათვის შეუქმნია!
მადლი ძალთა-ძალს, რომ ჩვენთვის სურვილი გაღმერთებისა დაუწესებია, თორემ...
გაჩენის პირველსავე დღეს ადამიანი თავს ჩამოიხრჩობდა, ვინაიდგან ცხოვრება, არსებითად, ერთი დაუსრულებელი ტანჯვა-წვალება და წეწვა-გლეჯაა!
ვინ იცის, რამდენი მილიონი თავი გაუხმია დროთა სრბოლვას, რამდენი ბევრეული ფიქრი, გულისტკივილი, სიხარული და იმედია დამარხული მთელი ქვეყნის სასაფლაოებზე, მაგრამ, აბა, თუ ერთის წუთითაც არის შეჩერებული მზე, რომ ქვეყნად დანთხეული სისხლი და ცრემლი გამოეშროს?!
ვინ იცის, რამდენი უზომო და უძირო სივაგლახე, ბოროტება, ბოროტება, ავენობა და ცოდვათა გროვა გადაუტანია ჩვენს ტურფა სამშობლოს, მაგრამ, აბა, თუ ერთხელაც არის იეხადნის შავ ღამეს როდე უკუნეთისა და დაერთგუნოს განგებას ცთომილებანი ქვეყნისანი!
...რაც ყოფილა, ისევ ის ხდება, რაც იყო, ისევ განმეორდება!..

ია ეკალაძე.

## ნაწყვეტი

მშვენიერი ღამე იყო. სოფლის საშიშროთ სახე ეძოს. რასაც კი ბუნებაში ადგილი ეპოვა, ვარსკვლავით მოდარაჯებდა რაღაცასაც! სადღაც შორს გაისმა სალამურის ხმა. ეს ხმა შადრევნის ნაკადისვით თანდათან ამაღლდა ჰაერში მარგალიტის ცვარებად დაიღვარა და აგრძნობინა ყველას, რაღაც განუყოფელი ტანჯვა. ამ ხმაზე ყრუდი ბუნება თითქო გაცოცხლდა მთვარე გამოცურდა ღრუბლებიდგან და თითქო გაფაციცებით ეძებდა იმ არსებას, რომელიც მწარედ ავენესებდა საკრავს.
ღმერთო! ამ ყრუტყუო ქვითინში რა გულის გამგმირავი გრძნობა იხატებოდა! საბრალო როგორ საცოდავად მოსთქვამდა განწირულებას, სიმწარეს, ჯვლდრებას და უკანასკნელად გამოსალმებას! როგორც ეტყობოდა დამწყრილი არ იყო მადლიერი წუთისოფლისა.
კაკალ ქვეშ იჯდა სოსანა, თითებში, გპირა სალამური და გულაცემით უკრავდა.
ხანდახან თვალებიდგან გადმოუგორდებოდნენ ცრემლები, ცრეცავდნენ მის გამხდარ, გაფითრებულ ლოყებზე ია, გათავა დაკვრა და გადახდო გვერდზე სალამური.
— ჩემო შუქურავ! ხომ გავიგონე, შენი ჰიროვე, ჩემი კვნესა?!.
მარტო ამ სალამურს, შეუძლიან მოგაწვდინოს ჩემი ტანჯვა!..
წარმოსთქვა მან და ხევით აიხედა, საიდანაც ჩამოსცვივოდნენ ზეცის ციცინათელები...
— სამიწულოწადი ველარა გხედავ, მოკვლი, სიკვდე არ მომიკვდება და შენს მოლოდინში დღეებს ვლამებ... აქედგანა გხედავ, ჩემო ციცინათელავ! გხედავ და ცოდვილი ხორცი ვერ მოიმიწვდენია.
ცაზე ყველაზე მეტად ბრწყინავდა ერთი ვარსკვლავი, ფერ მიხდილი უცნაურის გულის ძგერით, თვალ გაშტერებით შესცქეროდა იმ ვარსკვლავს სანამ არ წარმოუდგა, რომ მისი მნათობი სულდგმულივით ინძრევა, ფეხს იდგამს და წამოსვლას აპირებს! სწორედ იმ დროს მოწყდა ვარსკვლავი და წამოვიდა დაბლა ცეცხლის ზოლივით. სოსანამ სიხარულით შეკივლა და ხელები შეუშვირა.
ზოლი ათასფერ ნაპერწკლებად გაიფანტა ჰაერში... სოსანაც შეკრთა... სუნთქვა წყვეტა გაქვავებულსავით იდგა უძრავად ერთხანს... ბოლოს დაიკვნესა და უნუგეშოთ დაუშვა ხელები ძირს.

ანასტასია ერისთავი-ხოშტარიასი.

## ნეტარების ნექტარი

ნეტარი ჟამი გაზაფხულისა. მათ განმაცდევინებს ოქროს სიზმრები. მათი წყალობა იყო, რომ შეუძლებელიც კი შესაძლებლად მიმაჩნდა.. ბიბლიურ ბედნიერების მეშვიდე ცა ახლოს მეჩვენებოდა... ძალიან ახლოს... ასე მეგონა ერთი ორი სვლაც რომ ამერბინა—უეჭველად მივწვდებოდი მისს კაბადონსა.
და მხარობდა, მეჯლისობდა სულის გაზაფხული.
ნეტარების ზვირთები ჩქაფუნობდნენ და შადრევნობდნენ.
იმდენი კისკასა სიმღერები იბადებოდნენ, რომ ველარ ეტეოდნენ.
ბედნიერი ვიყავი და ბედნიერება მენატრებოდა მთელი ქვეყნისთვის.
მე ვიდექი თვალ-შეუვალ მთის მწვერვალზე და ვიძახდი...—მოყვასნო, ხალხნო, მო, ჩაიხედეთ ჩემს გულში, თუ გინდათ შეისწავლოთ ღმერთების ენა... ჩემი სული—ზღვაა, უკვდავებისა... მოიტათ ჩაფები და წაიღეთ იმდენი ნეტარების ნექტარი, რამდენიც შეიძლება დაიტიოს თქვენმა გულმა.

დ. თურდოსპირელი.

## მარჯნის სურა

მარჯნის სურას დავეწაფე, შენს მარჯნის სურას.
იქ ნადუღი მარგალიტი მსურდა შემეტკბო, მაგრამ მოვსტყუვდი, ვით სტყუვდება ყველა მწყურვალი.
ფერად ნათალი კოხტა სურა ცარიელი დამიხვდა და მწყურვალზე მწყურვალი დავრჩი სახტად მოტყუებული.
ნუ თუ არას დროს არ ავსილა იგი და მარად ცარიელობდა?
ან იქნებ ავსილი სხვამ გამოსცალა? შენ გაწითლდი?
— ძლივს ვულირსე შენგან ერთხელ ხმამაღლა პასუხს...
ქმარია! ქმარა!
მეტს ალარა გთხოვ!

ლევ. მეტრეველი.

## „ლანდები“-დან

.....— დახუჭული მაქვს თვალები: არ მინდა შეგხედო. შენ ჩემს ოთახში ხარ და მე ვგრძნობ შენი ბაგით, რაღაც ქხედავ შენს ენებიან თვალებს, შენს ნეტარების კოშკის კისერს და მარმილეფიე ტუჩებს, რომლებშიაც მოთამაშობს შენი კბილების სითეთრე! ვხედავ შენს გულმკერდს, რომლის კორდებში სძინავთ ნაცნობ ლემანგის სულებს... ვხედავ მკლავებს, რომლებზედაც დარგულია გვლები წითელყვითელის ფერისა... ვხედავ... ვხედავ შენს შიშველს ტანს ენების მღინარეთა ღარებით, რომლებშიაც დასცურავენ ჩემი გული მოგონებები, ათასი სახიანები, მთვარალები და სენინები! ვხედავ შენს მუცელს ნეტარი გოლგოთის მთითა, რომელზედაც ამართულია ჩემი სულის სამი ჯვარცმა: ერთი ვარ მე, მეორე წარსული ჩემი, რომელიც ვიყავ მე, და მესამე—მომავალი ჩემი, რომელიც ვიქნები მე!.. მომიახლოვდი ისე, როგორიცა ხარ... შენც დახუჭე თვალები, მინდა შენის მკლავების ეკლებზე დავხოთ ჩემი ტუჩები!.. მსურს გავალვიძო დემონები შენს გულ-მკერდზე და შენის ტანის მდინარეებში დავახრჩო ყველა გრძნობა ჩემი... მაგრამ... შესდექი მანდ!
მე ვხედავ, რომ ტანი შენი დადაღულია სხვის ენების ბეჭდებით და ჩემს მოგონებებს აღრჩობენ შენში სხვისი მოგონებები!.. შესდექი!. ეს ვისი ჯვარცმებია კიდევ ჩემის გვერდით რომ ამართულან? ეს სისხლები კიდევ ვისია, რომელთაც შეუღებავთ შენი მკლავის ეკლები? ვინ არიან რომ დაშწვარან შენი ტუჩების ცეცხლისაგან, რომ ფერფლის კვალებს დაუსერავს შენი ბაგენი? ვინ არიან ისინი, რომლებიც დამთვრალან შენის მკერდის ყურძნის ტევნებისაგან, რომ დაწურულან ყურძნები და ჰაჰა ღა დარჩენილა? ჰო, მივხვდი! გალესილია ხმალი ჩემი ეჭვების და სიყვარული ჩემი გაფეთილებულია, როგორც უკანასკნელი ნება მკვლელისა!..
არა!.. გუშინ მთვრალი ვიყავ და დღეს ფხიზელი ვარ!.. ფეხს ვერ შემოდგამ შენ ჩემს ოთახში!—

ლეო ქიაჩელი.

## ციკლიდან „შემოდგომის ბინდები“

მთვარე მოკვდება თეთრი გედივით.
და იტყვის უკანასკნელ დაჭკრეულ სიმღერას, ყელგადატეხილს ივი ვარინდული გადასვენება ხრიზანტემებში და გათავდება ცის ფერი იდილია უიმედოთ დამწვარი დღიურისა, გათავდება...
ძნელია სიკვდილი ცის უძიროებში, ძნელია სიკვდილი სიმაღლეში. მოკვდება მთვარე და ქარიენ ქარი გაასვენებს მოთქმა-ქვითინით.
მის თავის ხელებით ხრიზანტემებში გადასვენებულს.
თავდება მთვარე, დაიწერება სიმღერა, მოკვდება ყელის მღერება ძნელია სიკვდილი ცის დასალიერში!
ძნელია სიკვდილი სიმაღლეში!..

დემნა შენგელაია.

## ნიკოლოზ ბარათაშვილის დაპატიმრება

ქართულ მწერლობასა და თვით პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებაშიაც ამ პატიმრობის ამბავი სრულიათ უცნობია. ამიტომ ვალად ვსთვლით, რომ ამ გარემოების შესახებ ეხლა მოვიყვანოთ აქ ცნობები და გამოვაქვეყნოთ ისე, როგორც იგი მე გადმომცა 1890 წ. გრიგოლ დადიანის ძე გურიელმა.
გრიგოლ გურიელი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, კეთილშობილთა სკოლაში, ერთს სკოლის სკამზედ მსხდარან და ერთად უსწავლიათ. ნ. ბარათაშვილი თურმე პირველათ არშიყულ ლექსების წერას მისდევდა, 1830 წ. ტფილისში ცნობილ იქმნა ის გარემოება, რომ საქართველოში არსებობს „ფარული საზოგადოება“ რომლის მიზანიც არის, რომ საქართველოდან რუსები გააძევონ და სპარსეთიდან მეფე ერეკლეს შვილი ალექსანდრე ბატონიშვილი მოიყვანონ და ტფილისში გაამეფონ.
ამ „ფარულ საზოგადოებაში“ ყველაზე უადვილესათ ჩაეწერა პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი 1830 წ. და ამ დროიდამ მან თავის ლექსების წერასაც კილო შეუცვალა, ს. დოდაშვილის ჩაგონებით, პატრიოტულ ლექსების წერაზედ გადავიდა. პატრიოტული ლექსების წერას და ნაციტურ რუსეთის წინაღმდეგ, მას მრავალი კარგი ლექსიც ჰქონდა დაწერილი. მაშინ ჩვენში პატრიოტულ ლექსების წერას სხვა არავინ მისდევდა. ასეთ ლექსების წერის კილოთი ცნობილი იყო თურმე ეს ახალგაზრდა პოეტი. 1832 წ. რაკი გამოაშკარავებულ იქმნა „ფარული საზოგადოების“ არსებობა, რომელიც გახდა მიზეზი საზოგადოების წევრთა ჟეჟთ ფიცილად დაღუპვა, ამის შემდეგ აღნიშნული საზოგადოების წევრებსაც უწყეს დაპატიმრება.
დააპატიმრეს ბევრნი და სხვათა შორის ახალგაზრდა პოეტი გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც იმ დროს, რუსულის ენიდან, ქართულს ენაზე უკვე გადაეთარგმნა რილეევის ლექსი „ისპოვედ, ნალივაიკი“, ახალგაზრდა პოეტი ვახტანგ ორბელიანი, მისი ძმები ალექსანდრე და დიმიტრი და ბევრიც სხვანი ასეთნი.
ნიკომ მალე შეიტყო ის ამბავი, რომ მასაც უპირებდენ დაჭერასა. 1832 წ. ერთ დღეს, ნიკ. ბარათაშვილი და მე ერთად წავედით მათ სახლში, რომელიც ანჩისხატის ეკლესიის პირდაპირ იყო. შევედით სახლში, ნიკომ გადმოაწყო თავის ნაწერი ლექსები და მალე გადაარჩია. ის იყო მარჩა ლექსების გადარჩევას და მის შემდეგ ყველა ის ნაწერებიც ანთებულ ცეცხლში შეყარა და დაწვა, ის იყო ლექსები დაიწვა და ამ დროს, პოლიციის მოხელენი დაგვადგნენ თავზედ. ნიკო დააჭირეს. ქაღალდები გაუსინჯეს მაგრამ იქ ერთი ლექსიც ველარ უპოვეს მას, სულ დაწვა. პოლიციელებმა მერე დაიჭირეს იგი და თან სხვა და სხვა ქართულს ლექსებს უჩვენებდენ და ჰკითხავდენ, რომ ეს ლექსი შენი ხომ არ არისო. ნიკოც სულ უარს ეუბნებოდა, არა ჩემი ლექსი არ არისო. თუმცა ზოგი მისი ლექსი იყო მაგრამ სხვისი ხელით ნაწერი. მიუხედავათ ამისა ნიკო მაინც დააპატიმრეს. ორი კვირის შემდეგ კი გაანთავისუფლეს იგი.

ზ. ჭ.

## ზ. ჭიჭინაძის იუბილესთვის.

**მაისის 21 სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი გამართავს დამსახურებულ ქართველი მწიგნობრის ზაქარია ჭიჭინაძის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეს.**

ზაქარია ჭიჭინაძე წარსული ეპოქის მოსიარულე ენციკლოპედია იყო. ქართული ენისა და ქართული კულტურის შესასწავლად ჩვენ არ მოგვეძებოდა წარსულში, არც ეროვნული სამეცნიერო აკადემიები, არც მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული საგამომცემლო საქმე, არც დიდი წიგნთსაცავებში, არც ქართული ლიტერატურის, არც ქართული საისტორიო წყაროების გამოცემისთვის არვინ ზრუნავდა. ეროვნული თავისებურობის შენარჩუნების ინსტინქტმა წარმოშვა მხნე, ერთგული, დაუღალავი მოყვარული ქართული წიგნისა. მართალია მისი მუშაობა სტიქიურ საქმის სიყვარულს იყო აყოლილი და მას არა ჰქონდა სისტემატიური მუშაობის წინასწარი გეგმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან დაუვიწყარი ღვაწლი დასდო ქართულ კულტურას. ყოველ ადამიანს შეუძლია მხოლოდ ის მოგვცეს რაც მის შესაძლებლობის ფარგალშია.
ითვალისწინებს რა ამ დიდ ამაგს, ან ამ დიდ ღვაწლს, დამსახურებული მწიგნობარის ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გაწეულს, სრულიად საქართველოს მწერალთა საბჭო მიუწოდებს ქართველ ერს, თავის 50 წლის იუბილეზე სიყვარულით და თანაგრძნობით გული გაუთბოს დაუღალავ მუშაკს ქართული წიგნისა.

ს. ს. მწერალთა კავშირის საბჭო.

**ტრადიციული საღამო „პოეზიის დღე“, რომელიც უნდა გამართულიყო მაისის შვიდს სახელმწიფო ოპერის თეატრში, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო მოხსნილ იქმნა.**

ს. ს. მწერალთა საბჭოს პრეზიდიუმი.

რედაქცია:
ს. ს. მწერალთა საბჭოს პრეზიდიუმი.

**ფასი 10 ათასი მანეთი.**

ნ. დ. ს. ც. ტ. 1000.